საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

GEORGIA RED CROSS SOCIETY

# მიწისძვრა

განმარტება:

მიწისძვრა არის მიწისქვეშა ბიძგები, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით.

როგორ მოვამზადოთ მიწისძვრისათვის შენობაში

1.განსაზღვრეთ და დაიმახსოვრეთ შეხვედრის ადგილი ნათესავებთან, თუ სად შეხვდეთ მათ მიწისძვრის შემდეგ;
2.გააცანით ოჯახის წევრებს უსაფრთხო ადგილები სახლში;
3.გაანთავისუფლეთ შესასვლელი კიბე და დერეფანი დიდი საგნებისაგან;
4.შეცვალეთ პირველი სართულის ფანჯრების უძრავი რკინის ურდულები მოძრავით.




სკოლაში:

1.მოაწესრიგეთ დერეფნები, საავარიო გასასვლელები და პირველი სართულის ფანჯრები;
2.აუხსენით ბავშვებს რა გააკეთონ მიწისძვრის დროს იმ შემთხვევაში თუ ისინი იქნებია სკოლაში;
3.მოაწყვეთ ინსცენირებული წვრთნა ბავშვებთან ერთად წინასწარ, არსებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით.

რა გავაკეთოთ მიწისძვრის დროს შენობაში

1.დადექით მთავარი კედლის კუთხეში ან მაგიდის ქვეშ საყრდენი სვეტის მახლობლად;
2.დაუყოვნებლივ გამორთეთ ყველა მოწყობილობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი;
3.იმ შემთხვევაში თუ ცხოვრობთ ზედა სართულზე, არ გამოიყენოთ ლიფტი და კიბე, დარჩით შინ.





სკოლაში:

1.მიჰყევით საევაკუაციო გეგმას;
2.ევაკუაციის შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს მოსწავლეების რაოდენობა აკლია თუ არა ვინმე სიის მიხედვით;
3.აკონტროლეთ სიტუაცია მუდმივად. არ ჩავარდეთ პანიკაში.

მიწისძვრის შემდეგ

1.არ გამოიყენოთ ასანთი ან ელექტრობა.
2.დაუყოვნებლივ დატოვეთ ბინა პირველი ბიძგების შემდეგ, თუ ამის საშუალება არსებობს.
3.მიჰყევით ოფიციალურ ინსტრუქციას.

თუ ნანგრევების ქვეშ მოყევით

1.გახსოვდეს, შენ შეგიძლია აკონტროლო წყურვილი და შიმშილი რამოდენიმე დღე, თუ უქმედ არ დახარჯავ შენს ენერგიას.
2.გახსოვდეს, რომ შენ გეძებენ და აუცილებლად გიპოვიან.
3.მიეცით ბგერითი სიგნალი, მჟღერი საგნების ერთმანეთზე დარტყმით.

with funding from
Austrian Development Cooperation

AUSTRIAN RED CROSS